



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინდ ბუქ-  
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭებობით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანდისბაზუ უსამაგულსია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი, 6 ოქტომბერი. 2018 წ. №198-199 (8599-8600)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

## პრეზიდენტობისთვის გაბიჟებულნი

დღეს როგორც ჩვენს „ბე-  
ბერ“ დედაქალაქში, ისე საქარ-  
თველოს სხვა ქალაქებში, ხში-  
რად გაიგონებთ აღშფოთებულ  
მოქალაქეთა შეძახილს, რა  
არის, რა ხდება, პატრონი არ  
ჰყავს ამ ქვეყანას?! სად გაგო-  
ნილა ქალაქების ასე დამახინ-  
ჯება, ვილაც პრეზიდენტობის-  
თვის გაგიჟებულთა არცთუ დი-  
დად სანდომიანი სახეებით ჩვე-  
ნი ქალაქებისა და ბევრგან და-  
ბა-სოფლებისთვის თავიანთი  
ნამდვილი სახის დაკარგვა.

აღშფოთებულ მოქალაქეებს  
მხედველობაში აქვთ ამ წინა-  
საპრეზიდენტო არჩევნების წინ  
პრეზიდენტობისთვის გაგიჟე-  
ბულთა გადაპრანჭული პორტრ-  
ეტების წარღვნა, რომელმაც  
წაგვლეკა ამ სიტყვის პირდაპირი  
გაგებობით და საზიზღრად  
დაგვიჩოფურა ჩვენ ირგვლივ  
თვალსაწიერი. საითაც

გაიხედავთ თუ გამოიხედავთ,  
მხოლოდ ვაშაძისა და ბაქრაძის  
მავედრებელ თვალებს წაანყ-  
დებით, „მე ამირჩიეთ, მეო“, –  
ივედრება ყავილიანულვაშებიანი  
კანდიდატი, 400-ლარიანი პენ-  
სია ჩემზე იყოს, ბიუჯეტმა თუ  
არ იკისრა, არ დაგავიწყდეთ,  
რომ წინა ანანიაშვილის უღელ-  
ტოლი ვარ, ანუ ქმარი, და ნი-  
ნოს უიშვიათესი ფეხებით ნა-  
შოვნი დოლარებიდან გი-  
ოთხასპენსიებთ, ჩემს ყავილიან  
ულვაშებს არ შევირცხვენო.  
უფლვაშო ბაქრაძეს კი 50-ლარ-  
იანი პენსია უციმციმებს პრე-  
ზიდენტის სასახლისკენ გამზი-  
რალ თვალებში და უცხოეთში  
გადახვეწილ ქართველთა მა-  
ღალხელფასიან მუდმივ სამუ-  
შაოს ჰპირდება, როგორც ჩანს,  
იქაურ პრეზიდენტებს უკვე

### ნამუსგაუქმებელი ვაშაძისა და ბაქრაძის პორტრეტების წარღვნის გამო

მტკიცედ მოლაპარაკებულია ამ  
საკითხზე.

ერთი სიტყვით, დღეს სრუ-  
ლიად საქართველოში ვერ  
ნახავთ ხეს, ელექტრობოსს,  
სვეტს რასმეს, კედელს, ზედ ყავ-  
ლიანულვაშებიანი ვაშაძისა და  
უფლვაშო ბაქრაძის (ყოველი  
შემთხვევისთვის, დანა-ჩანგალ-  
კოვზით შეიარაღებულისას) სა-  
გულდაგულოდ, უკანასკნელი  
ტექნოლოგიურ დონეზე დამზა-  
დებული პორტრეტი რომ არ  
იყოს გაკრული (ასეა ეს უბარა-  
ქო წუთისოფელი: ზოგ ღირსე-  
ულს ჯვარს აკრავენ, ზოგ  
ულირსთ კი ხეებსა და კედლებ-  
ზე!).

დღეს და ხვალ ჩვენს ქალაქ-  
ში ტრადიციული თბილისობაა  
და ნამდვილად სამარცხვინოა,  
რომ თბილისქალაქობაზე გასულ  
თბილისელებს უწინარესად ამ  
პრეზიდენტობისთვის გაგიჟებუ-  
ლი კანდიდატების პორტრეტები



ეჩხირებთ თვალებში. ბევრგან  
ცალ-ცალკეა, ბევრგან ერთად  
გვიყურებს ოთხი მავედრებელი  
თვალი, ბევრგანაც ვაშაძე მალ-  
ლაა, ქვეშ ბაქრაძე, ან, პირიქით,  
ხან ვაშაძე აზის ბაქრაძეს, ხანაც  
ბაქრაძე – ვაშაძეს. თუმცა რა  
განსხვავებაა, ორივე ბოლმამო-  
რეული, თავუნია ჩარკვიანის  
ტერმინს თუ მივუყენებთ, დღეს

უკვე „გაფილტრული“ ნაციონა-  
ლია და ორივეს დისტანციურად  
მორონმცხებელი ჰყავს ბოროტ-  
მოქმედი ჰოლანდიელთა სიძის  
სახით. მაგრამ ყველაზე მეტად  
სიმბოლური და მრავლისმეტყვე-  
ლია, რომ თბილისქალაქობის  
დღეებში ამ პრეზიდენტობის-  
თვის გაგიჟებული და სამომავ-  
ლოდ ქვეყნის არევის ავი მიზნით

შეიარაღებული კანდიდატების  
ეს მიაბიტი ამომრჩეველთა საც-  
დუნებლად გამოკრული პორ-  
ტრეტები ქალაქში გამოდგმულ  
ნაგვის ურნებზეც გამოჩნდა. ესე  
იგი, გასაკრავი ხეები და კედ-  
ლები რომ გამოელიათ, ნაგვის  
ურნებსაც კი მიადგნენ და ახლა  
იქიდან, ნაგვის ურნებიდან შე-  
მოგვცქერიან ცხრანლიან ათას  
ცოდვაში ცხვირ-პირამდე ჩაფ-  
ლული ეს ვაიკანდიდატები.

ქალაქის მერისა მალე, ალ-  
ბათ, დიდი სამუშაოს განეცა  
მოუნვეს ამ ეგრეთ წოდებული  
პრეზიდენტობის კანდიდატთა  
პორტრეტებისაგან ქალაქის გა-  
სანმენდად (ისე, თვითონ იმათ-  
ვე თუ გაანმენდინებენ, ბევრად  
უპრიანი იქნება!).

ოლონდ ქალაქის მერის მი-  
მართ თბილისელებს ერთი  
თხოვნა გვაქვს: ბატონო კახა,  
რასაკვირველია, ქალაქი უნდა  
განმინდოთ ამ ეშმაკთან წილ-  
ნაყარ კანდიდატებად დარჩენი-  
ლი ვაშაძისა და ბაქრაძის მა-  
ვედრებელთვალებიანი პორტრ-  
ეტებისგან, მაგრამ ნაგვის ურ-  
ნებზე დატოვეთ, როგორც ამ  
არჩევნების მრავლისმეტყველი  
სიმბოლო – ნაგავმა თავისი ად-  
გილი იცის და, იმედია, საკვლა-  
ვოდაც ეცოდინება!

მოკლედ, თუ ნაგავი ხარ,  
ბრილიანტად ვერ გადაიქცევი  
და გულუბრყვილო ამომრჩევე-  
ლის გასაცუცურაკებელი აშკარად  
ცრუ და ალაღად გადა-  
ხედმეტყველი დაპირებებით!  
დაბოლოს, ნაგავო, შენი  
ადგილი ერთხელ და სამუ-  
დამოდ იცოდა!

ბურამ ნიკლაური

### არის „ბრინჯაო“! მოჭადრაკე ქალთა სპორტული ნობათი თბილისობას



43-ე საჭადრაკო ოლიმ-  
პიადის მესამე პრიზიორი  
საქართველოს ქალთა ნაკ-  
რები გახდა. გადამწყვეტი  
ბრძოლა ჩვენმა გუნდმა სო-  
მეს მეზობლებს მოუგო – 3:1  
და 17 ქულით დაასრულა  
ფორუმი. პირველ-მეორე  
ადგილები ჩინელმა და უკ-  
რაინელმა მოჭადრაკეებმა  
გაიყვეს 18-18 ქულით.

ცისქვეშეთელთა ტრიუმფით  
აღინიშნა ვაჟთა ტურ-  
ნირიც, რომლებმაც დამატე-  
ბითი მაჩვენებლებით გაუს-  
წრეს ამერიკელებსა და რუ-  
სებს – სამივემ 18 ქულას მო-  
უყარა თავი.

ასე რომ, ჩინელებს  
ხვდით წილად ნონა გაფ-  
რინდაშვილის თასიც, რომელიც  
ქალთა და ვაჟთა ნაკ-  
რებების საერთო მონაგრის  
მიხედვით ენიჭებათ.



„თქვენი სამეფო უაღლესობა“,  
4 ბატონო ნუბზარ!  
რა გაბიხდათ ერთი  
გენეტიკური ანალიზი?

„ნითელ  
ნიბნში“ 7  
შესატანი  
ქართული  
გპარები

„მარტოსულო,  
სრუპენტელა  
ქალბატონო!“  
გასაცო სავისკვარაძის  
ცნობილი სიყვარის  
გელოღიაჟა 5

### საქართველოს პრემიერი მოლოდინებს სტუმრობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ოფიციალური ვიზიტი მოლოდინებს გუშინ დაიწყო. კიშინეუს საერთაშორისო აეროპორტში დახვდნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

საქართველოს მთავრობის მეთაურს მოლოდინებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი კირილ გაბურჩი დახვდა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მონანილოვმა მიიღო სუამის წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურების სხდომაში, რომელიც „მიმი კასტელის“ სასახლეში გაიმართა. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულა იმყოფებიან.



### სუამ-ის წევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კონსოლიდაცია უნდა გაკლირდეს

სუამ-ის როლის გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე, სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული პროექტები, წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდა სუამი-იაპონია, სუამი-ამერიკის შერთებული შტატების ფორმატების განვითარება განხილეს სუამ-ის წევრი სახელმწიფოების მთავრობების მეთაურების სხდომაზე, რომელიც მოლოდინებს გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, მოლოდინებს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პაველ ფილიპი, უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვოლოდიმირ გროისმანი და აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი ალი ასმედოვი

მონანილოვდენ, ხაზი გაესვა სექტორული თანამშრომლობის გაღრმავებისა და ორგანიზაციის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მნიშვნელობას.

მხარეებმა პოლიტიკური და ეკონომიკური კონსოლიდაციის გაძლიერების, დარგობრივი თანამშრომლობის გაფართოების, სუამ-ის პარტნიორ ქვეყნებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციისა და სუამ-ის საპარლამენტო განზომილების კიდევ უფრო გააქტიურების საკითხებზე ისაუბრეს.

აღინიშნა, რომ სუამ-ის წევრი ქვეყნებისთვის ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას და საერთო გამოწვევაა. ამ თვალსაზრისით, ხაზი გაესვა სუამ-ის ფარგლებში წევრი ქვეყნების პოლიტიკური კონსოლიდაციის გაძლიერებას და საერთაშორისო მხარდაჭერის მეტი მოპოვების აუცილებლობას.

ყურადღება გამახვილდა სუამ-ის პარტნიორ ქვეყნებთან, აშშ-სა და იაპონიასთან თანამშრომლობის ფორმატის კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობაზე, ასევე, ახალ პარტნიორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. სხდომის შემდეგ მთავრობათა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

### ბაჰრეინის სამეფოს მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებს საიზო რეჟიმი გაუბარტინა

ბაჰრეინის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეებისათვის შემოღებულ იქნა გამარტივებული საიზო რეჟიმი, რაც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეების მიერ ბაჰრეინში ამ ქვეყნის ელექტრონული ვიზით მოგზაურობას ან ბაჰრეინის ვიზის მიღების უფლებას საზღვარზე.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მიმდინარე წლის 27 სექტემბერს ქ. ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის დავით ზალკალიანისა და ბაჰრეინის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეიხ ალ ხალიფას ორმხრივი შეხვედრა და ხსენებულ თემაზე შეთანხმება.

აქტიურ ფაზაშია მოლაპარაკებები დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის ბაჰრეინთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებაზეც. ხაზგასასმელია, რომ გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეთათვის საიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან განვითარებას და ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებას ტურიზმისა და ინოვაციების სექტორში.

### მოგაწავლი წლიდან ისრაელში ქართული პროდუქციის შესაქონს შესაქონს, გაიზარდოს

საქართველოდან ექსპორტის მოცულობის გაზრდის მიზნით, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატამ ჩამოიყვანა OK Kosher Certification, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქაშერული სასერტიფიკაციო სააგენტოა. მისი ქაშერუთის ლაბორატორია 1935 წელს დაარსდა, რათა მსოფლიო ებრაული თემების საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. ქაშერული პროდუქტი ისეთი პროდუქტია, რომელიც შეესაბამება ქაშერუთის ებრაულ დიეტურ წესებს. ასეთ პროდუქტზე მსოფლიოში მოთხოვნა დღითი დღე იზრდება, რადგან მისი მომხმარებლები არიან არა მხოლოდ ებრაელები, არამედ არაებრაელებიც, რადგან ქაშერული პროდუქტის მაღალი ხარისხი ყოველთვის გარანტირებულია. ქაშერის საკვებისა და სასმლის ბაზარი მოიცავს თითქმის მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ებრაული თემებია.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა ქაშერული პროდუქტების გაყიდვები. მხოლოდ 2002 წელს მან 165 მილიარდ დოლარს მიაღწია. დღეს OK სერტიფიკატს გასცემს 140,000 პროდუქტზე, რომელსაც მთელ მსოფლიოში 1500-ზე მეტი კომპანია უშვებს, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორც Kraft, Snapple If ConAgra. მასში 350-ზე მეტი რაბინი მუშაობს. როგორც საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატაში აცხადებენ, ქართული პროდუქტის მწარმოებელ კომპანიებს შეუძლიათ მიმართონ ბიზნესპალატას, რომელიც უანგაროდ დააკავშირებს OK Kosher Certification-ს. თავის მხრივ, ქართული პროდუქტია მიიღებს „OK“ ხარისხის ნიშანს, რაც მას გზას გაუხსნის მსოფლიო ბაზარზე, მათ შორის ისრაელში. ამ უკანასკნელთან, სტატისტიკური მონაცემებით, წლიურად საქართველოდან ექსპორტი არ აღემატება 10 მილიონ დოლარს, რაც არცთუ დიდი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ ქაშერული პროდუქტის წარმოების პროცესი არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ სირთულეებთან, ღვინის წარმოების გამოკლებით, რომელიც საჭიროებს ცალკე წარმოების ამოქმედებას.



## ნოვასია თუ კანონის ხარვეზი?!

# 13-ჯერ გაზრდილი ტარიფი ბინის გამყარებლებს!

თბილისში და მთლიანად საქართველოში ტურისტული ბუმი. მოსახლეობას დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდა. ბინებს სხვადასხვა გზებით აქირავებენ, მათ შორის booking.com-ის ან airbnb-ის მეშვეობით. როგორც ჩანს, დამატებითი შემოსავლის მიღების სურვილი GWP-შიც გაუჩნდა.

რეგორც ირკვევა, GWP-ის წარმომადგენლები დადიან booking.com-იდან ამოღებული გაქირავებული ბინების სიებით და მათ მფლობელებს ავალდებულებენ, ახალი მრიცხველი დააყენონ და წყლის გადასახადი კომერციული ტარიფის შესაბამისად გადაიხადონ. როგორც ასეთი ბინების მეპატრონეები აცხადებენ, იყო შემთხვევები, როცა ტარიფის შეცვლაზე დე ისინი, ვითომდა, ფარული კომერციული საქმიანობისათვის 1000 ლარიდან დააჯარიმეს. განმარტებისათვის კომერსანტი GWP-ის დაუკავშირდა.

მისი მესვეურების პოზიცია ასეთია: ბინათმესაკუთრები, რომლებიც აქირავებენ ბინას, ეწვიან ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობას. შესაბამისად, ისინი არიან არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები და სემეკის 32-ე დადგენილების თანახმად, წყალმომარაგების საფასური უნდა გადაიხადონ არასაყოფაცხოვრებო, კომერციული ტარიფით. საქართველოს ენერგეტიკისა და

წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №32 დადგენილების თანახმად, საყოფაცხოვრებო მომხმარებელია ფიზიკური პირი, რომელიც სასმელ წყალს ყიდულობს და მოიხმარს მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საყოფაცხოვრებო მომხმარებლის გარდა, ყველა სხვა მომხმარებელი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელია და სარგებლობს კომერციული ტარიფით. საკითხის გარკვევა, ანუ იმის დადგენა, სამართლებრივად სწორად იქცევა თუ არა GWP, სემეკ-ში, ანუ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიაში ვცადეთ. როგორც სემეკში განგვიმარტეს,

მოქმედი წესის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ხდება წყლის არასაყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენება, აბონენტს კომერციული ტარიფის გადახდის ვალდებულება უჩნდება, თუმცა, სემეკში იმასაც ამბობენ, რომ ყველა საკითხი საჭიროებს ინდივიდუალურ შესწავლას და მზად არიან ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მათი უფლებები ირღვევა, კვალიფიციური და დროული კონსულტაციები გაუწიონ.



# კიდევ ერთხელ საგაფო ტახტის თაობაზე...



საქართველოს საგაფო გვირგვინის ორდენით დაჯილდოების ცერემონიალი

ნელს, რომ იგი არ იყო ბაგრატიონი და მას შეურაცხყოფასაც აყენებდა, ბეჭდავდა რა ცილისმწამებლური შინაარსის პასკვილებს მისი ენ. სამეფო სახლის ეგვიდით გამოშვებულ წიგნებში.

პასუხად ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა საკუთარ თავს თავადვე აკადრა ბატონი ნუგზარისთვის დღემდე უკადრებელი და ამ რამდენიმე წლის წინათ ჩაიტარა „დნმ“-ს ანალიზის საკუთარ სიძეს), დავით ბაგრატიონ-მუხრანელს სასამართლოში უჩივის — „მისი უმალღესობის“ ტიტული მხოლოდ მე მეკუთვინსო.

ამ სასამართლო დავაში ვის სასარგებლოდ გადაიხრება თემიდას სასწორი, ანუ ვინ მისი უმალღესობაა და ვინ უმდაბლესობა, ამას ვნახავთ, მაგრამ მორალურად გამარჯვებული რომ უკვე დავით ბაგრატიონია, ახლავე ცხა-

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბატონი ნუგზარი, როგორც ამბობენ, შემოსწყრაო 2010 წელს მის მიერვე დიდებულ თავადად აღზევებულ კახაბერ ქორიძეს, ან უკვე ქორდიდელად წოდებულს და ყოფილი „ლიმილის ბიჭი“ (კინოფილმიდან) სამეფო კარზე პირველი სახელოს თანამდებობიდან დაითხოვეს და დიდი თავადობიდანაც „ჩამოაღაბორანტესო“ — ამას გულისხმობდა, ალ-

## ბატონო ნუგზარ! რა გაიხდათ ერთი გენეტიკური ანალიზი?

ზი, რომელმაც ორი რამ დაამტკიცა — პირველი, რომ ქალბატონი ია ნამდვილად ბაგრატიონ-მუხრანელია და მეორე, რომ ბატონი ნუგზარი ცილს სწამებდა ქალბატონ იას, საჯაროდ შეჰქონდა რა ეჭვი მის კეთილშობილურ წარმომავლობაში.

ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ ქალბატონი ია ბატონი ნუგზარისგან კატეგორიულად მოითხოვეს, რომ მანაც ჩაიტაროს გენეტიკური ანალიზი, რაზეც, როგორც ზემოთ ვთქვით, დღემდე უარს ამბობს საქართველოს სამეფო ტახტის მამიებელი?!

შე კაი კაცო! თუ თავადვე არ გეპარება ეჭვი საკუთარ მეფურ წარმომავლობაში, მაშინ რას მიქვია, „ეს როგორ მაკადრეთ“; საქართველოს მეფობაზე გაქვს პრეტენზია, სოფლის ბიბლიოთეკის გამგეობაზე ხომ არა! და თუ მართლა ბაგრატიონი ხარ, ბაგრატიონთა გენეტიკური კოდი ხომ დადგენილია?! ჩაიტარე ანალიზი და ერთხელ და სამუდამოდ ხმა ჩააგდებინე მტერ-მოყვარეთ!

მაგრამ არა, ბატონმა ნუგზარმა ტახტზე ასვლის უფრო მარტივი გზა მოიხატა — თავადვე შექმნა ნამდვილი თავდაზნაურთა საკრებულოს ალტერნატიული, საკუთარი ეგიდის ქვეშ მყოფი საკრებულო, რომლის წინამძღოლად ვინმე აზნაური (დიდი ალბათობით, დავით კლდიაშვილისეული ე.წ. „შემოდგომის აზნაური“) კიკნაძე დანიშნა და მერე რა, რომ ბატონი ნუგზარის მიერ დაარსებული თავდაზნაურთა საკრებულო იმ თავითვე მკვრად შობილად მოველინა ქვეყანას (პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებს), მთავარია, რომ საკუთარი „ჯიბის“ საკრებულოში ბატონ ნუგზარს არავინ ჰკადრებს უკადრებელს, გენეტიკურ ანალიზს არავინ მოსთხოვს.

თუმცა ეგვეც არ იყოს, თავად ფაქტი ალტერნატიული საკრებულოს შექმნისა, სხვა არაფერია თუ არა ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს (!!!), 1988 წელს დაარსებული ნამდვილი თავდაზნაურთა საკრებულოს პარალელური სტრუქტურის შექმნა, რაც თავდაზნაურთა შორის განხეთქილება და მონარქისტული იდეის დისკრედიტაციას უწყობს ხელს...

ვერც ის ფაქტი ჩაითვლება მონარქისტული იდეის პროპაგანდად, რომ ბატონი ნუგზარი ბაგრატიონების ესპანური შტოს წარმომადგენელს (თა-

დია, რადგანაც მომჩივანი ნუგზარ „ბაგრატიონ-გრუზინისკისგან“ განსხვავებით, მოსარჩელე დავით ბაგრატიონ-მუხრანელი ჯერჯერობით უარს არ არის, რომ გენეტიკური ანალიზი ჩაიტაროს.

ისე კი, ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ისედაც სკეპტიკურად არის განწყობილი მონარქისტული იდეის მიმართ, მგონია, რომ ბაგრატიონების სასამართლოებში, უკაცრავად და, წაწალი, ამ სკეპტიციზმის გაძლიერებას უწყობს ხელს და არა პირობითი...

ზემოთ არაერთხელ მომინია ბატონი ნუგზარის გვარის ბრჭყალებში ჩასმა და ეს სულ ასე იქნება მანამდე, სანამ საკუთარ მეფურ წარმომავლობას ბატონი ნუგზარი „ეს როგორ მაკადრეს“ უსუსური, საეჭვო არგუმენტის გარდა, სხვა უფრო წონადი არგუმენტით დაუმტკიცებს დაინტერესებულ საზოგადოებას.

თუ ბატონი ნუგზარი მართლაც ბაგრატიონ-გრუზინისკია და არა თვითმარქვია, მაშინ მას უფლება აქვს ორდენების დაწესების, თავადობა-აზნაურობის ტიტულების მინიჭების, რაინდად კურთხვის და ა.შ. სხვა მონარქისტული საქმიანობების, რასაც აკეთებს კიდევ, მაგრამ აზნაურის დასაწყისში ის წყეული „თუ“ რომც არ იყოს და ბატონი ნუგზარი ზაქიჭამია გიორგი მეთორმეტის კი არა, პირდაპირ დავით აღმაშენებლის შთამომავალიც რომ იყოს, არავის აქვს უფლება ზემოთ ხსენებულ მიფურთხებას საქმიანობა, გააბანძუროს, უარგონით თუ ვიტყვი, გააბანძოს!

სხვას ვერაფერს უნოდებ ორდენების გადაცემის ამსახველ ფოტოებს, სადაც, სავარაუდოდ, ალტერნატიული, „ჯიბის“ საკრებულოს წევრები ისეთი ჩაცმულ-დახურულები დგანან (ინგლისურენოვან წარწერებიანი მაისურები, ჯინსებზე რიჯაკები, „შლოპანცი ბასანოჩკები“ და ა.შ. სხვა მრავალი შეუსაბამო ატრიბუტიკა), რომ ამალღებულ არისტოკრატიულ ცერემონიაზე კი არა, თავი ლიბერასტების „ტუსოვკაზე“ გეგონება...

ეს ხომ არა მხოლოდ მონარქისტული იდეის შეურაცხყოფაა, არამედ იმ ათასობით არისტოკრატიული წარმომომობის ოჯახის ღირსებისაც. რომელიც ჩვენს გმირ წინაპრებს თავგანწირული სმალთაკვეთებით დაუცავთ და ჩვენამდე მოუტანიათ!

მარჯვენაში“, როდესაც ფარსმან სპარსს ათქმევინა: „ქარის ქროლვასა ჰგავს მეფის წყალობა, ხან აღმა ქრის და ხან დაღმა“.

გამოდის, რომ ნუგზარ ბატონის „სამეფო სახლი“, მხოლოდ მის მიერ თავადად აღზევებული ვინმე ბიჭიკაშვილის იმედზეა?

იმერელი ბაგრატიონები იქნებიან, მუხრან-ბატონები თუ კახელი ბაგრატიონები, სამშობლო თუ საკუთარ თავში უყვართ და არა საკუთარი თავი სამშობლოში, ჯერ თავად უნდა მორიგდნენ, კონსენსუსის სახით უნდა შეჯერდნენ ერთ კანდიდატზე, თორემ ეს ყველაფერი უკვე მეფობანას თამაშს ჰგავს, რაც, ვიმეორებთ, საზოგადოებაში ანტიმონარქიულ განწყობებს ქმნის და საერთოდ ასამარებს ქართული მონარქიის იდეას, რომლის ხორცშესხმა რამდენჯერმე სცადა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

იგავმიუნვედნელი სისულელეა, მაგრამ ჩვენში ბევრი სერიოზულად ფიქრობს, რომ მონარქიის აღდგენა და თავდაზნაურობა ბატონყმობის აღდგენას ნიშნავს. არადა, მონარქიაც და თავდაზნაურობაც, კულტურული მემკვიდრეობა ისევე, როგორ ქართული გალობა, „ჩაგრული“, „მრავალფამიერი“, სვეტიცხოველი, ხანძთა, ვარძია და ისიც, რაც მტერს წარუტაცნია“ (მურმან ლეზანიძე)...

ეს ყველაფერი კარგად და მუდამ უნდა ახსოვდეთ ტახტის საფუძვლიან თუ უსაფუძვლო მამიებელთ.

ეს მცირე, ლირიკული გადახვევა, როგორც ინფორმაცია განსჯისთვის. ხოლო, რაც შეეხება წერილის მთავარ თემას — ბატონო ნუგზარ, ნამდვილად არა ვარ თქვენ მიმართ ტენდენციურად, მითუმეტეს მტრულად განწყობილი, მაგრამ თქვენი სიჯიუტე ბევრ კითხვას ბადებს და სანამ ამ კითხვებს თავადვე არ გასცემთ პასუხს გენეტიკური ანალიზის სახით, მანამდე თქვენზე საუბარი, თქვენზე წერა, ორაზროვანი „ბრჭყალების“ გარეშე ვერ მოხერხდება!

„თქვენო სამეფო უმალღესობაზე“, თუმც არა თქვენი წყალობით, მაგრამ მაინც თავადი დავით მხეიძე



ძართულ ენაში არსებობს ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვები — „თუ“, „ენა“, „მაგრამ“ და ა.შ. დიას, ერთი შეხედვით, რადგანაც მათმა ხმარებამ (კონტექსტს გაანჩნია) შეიძლება, საერთოდ აზრი დაუკარგოს ამა თუ იმ თემაზე საუბარს, რადგანაც ამ „უწყინარ სიტყვებს“ ყველაფრის თავდაყირა დაყენება ძალუძთ.

წინამდებარე წერილში ამ სიტყვების ხმარება ხშირად მოგვიწევს, რადგანაც სტატიის მთავარი გმირი თუ ანტიგმირი საქართველოს სამეფო სახლის მეთაურობაზე, ანუ იგივე ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის მქონე ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი იქნება.

დაახლოებით ამ თემაზე ა.წ. აპრილის ბოლოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე თქვენი მონამორჩილი ერთხელ უკვე ვწერდი სტატიაში სათაურით — „ის, რაც საკადრისია ერთისთვის, რატომ არის უკადრისი მეორისთვის?..“

ამიტომ, ბატონმა ნუგზარმა და მისი სამეფო სახლის გულშემატიკვრებმა შეიძლება იფიქრონ, რას გადაგვეკიდა ეს კაცი? მათ გასაგონად (და არა მხოლოდ მათ) დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თქმულის პერიფრაზირებულ ვარიანტს მოვიშველიებ — მე არც ნუგზარ „ბაგრატიონის“ მესობზე ვარ და არც სხვა ბაგრატიონების მგალობელი..

რატომ ბატონი ნუგზარის ბაგრატიონობა ბრჭყალებში? რატომ და იმიტომ, რომ ბატონი ნუგზარი დღემდე ჯიუტობს და „ეს როგორ მაკადრეთო“, ამპარტავნული მოტივით უარს ამბობს გენეტიკური ანალიზის ჩატარებაზე.

სხვათა შორის, ბაგრატიონთა შორის დავების მიმართებით გენეტიკური ანალიზის თემა არახალია — ბატონი ნუგზარი წლების განმავლობაში ედავებოდა ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრან-





საგულისუკრო ფაქტები  
სალვადორ დალის შესახებ

2008 წელს გადაიღეს ფილმი „ნარსულის ნახმევი“ სალვადორ დალიზე. მთავარი როლი ითამაშა რობერტ პატინსონმა.

ნიუ-იორკში პირველად რომ ჩავიდა, დალი მიემშვიდობა ჟურნალისტებს და ხელთ ამ დროს აქსესუარის სახით ორმეტრიანი ფრანგული ბაგეტი ეჭირა.

1950 წელს დალიმ კრისტიან დიორთან ერთად შექმნა გასაოცარი ფუტურისტული სამოსელი, რომელსაც „კოსტიუმი 2045 წლისთვის“ უწოდა.

ოვოსიპი დალის მიერ მოფიქრებული მონოპოლიზება, განახორციელა ინჟინერმა ლაპარამ. გამჭვირვალე ბურთში დაზარებული დასაჯდომი ერთი მგზავრისთვის. დალი ოვოსიპედს იყენებდა ხალხის წინაშე ეფექტური გამოჩენისთვის.

დალის ჩვეულებად ჰქონდა ძილი მჯდომარეს. ამ დროს ხელთ მძიმე გასადები ეჭირა, რომელიც ეგრევე ძირს ეცემოდა, როგორც კი მასეტროს ძილი ერეოდა. სალვადორ დალი ფიქრობდა, რომ ყოველის უფრო გენიალური იდეები სწორედ ძილბურანში ჩნდებოდა.

სალვადორ დალის მიერ არის დამუშავებული ლოგოტიპი „ჩუპა-ჩუპს“ კარამელისთვის.

დალის ბავშვობიდანვე ეშინოდა კალიებისა.

2003 წელს კომპანია „უოლტ დისნი“-მ გამოუშვა მულტიპლიკაციური ფილმი „Destino“. სალვადორ დალი და უოლტ დისნიმ ფილმზე მუშაობა ჯერ კიდევ 1945 წელს დაიწყეს, მაგრამ ფინანსური სიძნეელების გამო დამუშავება აგრერიგად დიდხანს გაიჭიმა.

პლანეტა მერკურიზე არის კრატერი, რომელსაც სალვადორ დალის სახელი ჰქვია.

სალვადორ დალის შთამომავლობა არ დარჩენია. ამას ორი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ბავშვები არ უყვარდა და, ეშინოდა კიდევ: „არ მიყვარან არც ბავშვები და არც ცხოველები. ისინი ავად ფუთფუთებენ ჩემ გარშემო და მაშინებენ“. მეორეც, გალამ გინეკოლოგიური ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც გაურწანდა.

დალიმ პიტლერს აჩუქა თავისი წიგნი „ძღვევი ირაციონალურისა“ ავტოგრაფის ნაცვლად ჯვარდასმული. მოგვიანებით მხატვარმა დაასკვნა, რომ სწორედამ ამ ჯვარმა იზეგავლენა ომის შედეგზე, რაკი ფიურერისთვის ის ავგაროზი რამ გახდა.

1981 წელს სალვადორ დალის პარკინსონის დაავადება დაემართა. დიდ მხატვარს სულ უფრო და უფრო გაუჭირდა დაძაბუნებული ხელებით შედეგების შექმნა.

დალიმ ათას ხუთასზე მეტი სურათი დაწერა. იმის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავთ აგრეთვე ნახატებს, ილუსტრაციებს, სკულპტურას, მოკლემეტრაჟიან ფილმებს, წიგნებსა და ლითოგრაფიებს.

საკულტო ფილმ „კრავთა მდუმარების“ პოსტერზე გამოსახულია ქალი მსახიობის ჯუდი ფოსტერის სახე, რომელსაც პირს პეპელა უფარავს. პეპლის ზურგზე თითქოს თავის ქალა ჩანს, რაც სინამდვილეში თავის ქალა კი არა, განსაზღვრული პოზით დაყენებულ შიშველ ქალთა ფოტოგრაფიაა, რომლის პირველი ვარი-

ანტიც გადაღებულია 1951 წელს სალვადორ დალის ესკიზისა და მიხედვით.

1948 წელს დალიმ გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „ოსტატობის 50 მაგიური საიდუმლო“, ახალგაზრდა მხატვართა დასახმარებლად.

დალი ფრენკის თაობაზე

სალვადორ დალი ფრენკით სულდგმულობდა. ის არა მარტო შემოქმედი, არამედ მშვენიერების უდიდესი დამფასებელი და შემფასებელი იყო, ამიტომ იგი თავის მოგონებებში ძალიან ბევრს წერდა ფრენკზე, მხატვრებზე, თავის თანადროულ ხელოვნებაზე.

დალის განსჯა ფრენკის თაობაზე გამოირჩეოდა მკვეთრი სინრფოებით, ხანისად ურთიერთწინააღმდეგობითაც, მაგრამ უცვლელად იზიდავდა აღფრთოვანებულ საზოგადოებას.

დალიმ, თავისი ექსტრავაგანტურობის გამო, ხშირად გესლიანდაც იცოდა შენიშვნის მიცემა, თუმცა, სათქმელს მიზანს არ აცდენდა. ის მკაცრი იყო არა მარტო სხვათა მიმართ, არამედ საკუთარ თავსაც არ ინდობდა.

ჩაიმი საკუთარი შემოქმედება დიდ უბედურებად მეჩვენება.



მართლად გადმოაქნა ბურამ ბოზიაშვილმა

კლასიკური ქმნილება ყოველსავე იყენებს და აერთიანებს, ეს სუყოველი ფასეულობის იერარქიული ჯამია. კლასიკა ნიშნავს ინტეგრაციას, სინთეზს, კოსმოგონიას დაქუცმაცებულობის, ექსპერიმენტატორობისა და სკეპსის ნაცვლად.

მთელი ომის შემდგომი პერიოდი გამოირჩევა „იზმების“ გაჩენით; სწორედ მაშინ მოველინა ქვეყანას კუ-



მევირს და გამევირეებია, რომ მხატვართ ჩემზე აღრე ვერ მოიფიქრეს „რბილი საათების“ ხატვა.

ბიზმი, დადაიზმი, სიმულტანიზმი, პურიზმი, ვიზრაციონიზმი, ორფიზმი, ფუტურიზმი, სიურრეალიზმი, კომუნიზმი და, სხვათა შორის, ნაციონალ-სოციალიზმი. სუყოველ „იზმ“-ს ჰყავდა თავისი ლიდერი, თავისი მომხრენი და გამირნი. თითოეული ჭეშმარიტების სახელით ლაპარაკობდა, მაგრამ ერთადერთი „ჭეშმარიტება“, თანაც დადასტურებული, ის იყო, რომ აგრერიგად მალე დაიწყებულ სუყოველ ამ „იზმისგან“ დარჩა – ამავე „იზმების“ ანაქრონიკულ ნანგრევებს შორის – სულ რამდენიმე ნამდვილი მხატვარი-ინდივიდუუმი.

სიმცონარას შედეგები არა აქვს!

ყოველის უფრო მეტად ის სურათები აღმაფრთოვანებდნენ, რომელთა სიუჟეტებშიც იმპრესიონიზმი პუანტილიზმის ხერხებში გადადიოდა. ნარინჯისფერისა და იისფერის მუდმივი შეხამება გრძობას მიხალისებდა და იმის ილუზიას მიქმნიდა, თითქოს საგანთ პრიზმის წიაღ ვუცქეროდი და ლაჟვარდოვან ლივლივში ვხედავდი.

როგორც ჩემი წყარო, თავდაპირველი სიურრეალიზმი და საერთოდ თანამედროვე ხელოვნება მოკალი, მირომ თქვა: „ფრენკის მოკვლა მინდაო!“ და ჩემი დახმარებით მოკლა კიდევ – მუხანათურად ზურგში დავეცხე. და მინც არ ვფიქრობ, თითქოს მიროს ესმოდა, რომ ჩვენი მსხვერპლი გახდებოდა თანამედროვე და არა ძველი ფრენკი, რომელიც, შემძილია თქვენი დარწმუნება იმის შემდეგ, რაც მელონის კოლექცია მოვიხილე, თავს ჩინებულად გრძობს.

პარიზში რომ ჩავედი, ჟოან მიროსთან ერთად მოვიხილე ფრენკის მოკვლა. დღეს ფრენკი თვითონ მე მკლავს, რამეთუ აღარ მინდა იმისი შეველა და არცრანაირი ამქვეყნად ტექნიკა არა მგონია იმის შემძლე, რომ იმას ხელახლა სიცოცხლე აიძულოს.

ამჟამინდელ ყველაფრის უკეთესად ან უარესად ქმნა შესაძლებელი, გინდა ჩემი ფრენკის ჩათვლით.

იცოდეთ, რომ ფუნჯის წყალობით ადვილ შესაძლებელია ყოველის უფრო საოცარი ოცნების გამოსახვა, როგორის გამოსახვაც თქვენს ტვინს ძალუძს, ოღონდ ამისთვის ლეონარდოს ანდა ვერმეერის ყოველსომოცველ ნიჭიერებას უნდა ფლობდეთ.

მხატვარო, შენ მჭევრმეტყველი არა ხარ! ამიტომ გაჩუმი და აჯობებს, საქმეს მოჰკიდო ხელი.

დასაწყისისთვის ძველ ოსტატებსავით ხატვა და წერა ისწავლეთ, ამის მერმე კი თქვენი შეხედულებებისამებრ იმოქმედეთ – და ყოველთვის ფასი გექნებათ სხვათა თვალში.

წერა საჭიროა საჩქაროზე, ერთბაშად, თანაც უნდა დააცადოთ, სანამ მკაფიოდ მოხაზულ რომბისებრ შუალედურ მანძილზე ერთმანეთს შელაღებული ტონები შეირვეიან და ღია ადგილებს საღებავი უნდა წასცხოწაუსვა, რათა სითეთრე გააზომიერო.

ყოველის უფრო დაფარული საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ამქვეყნად თვით ყველაზე ცნობილ მხატვარსაც კი, ესე იგი, მე, ჯერჯერობით ვერ მიმიღწევია იმისთვის, თუ რაშია ფრენკის ოსტატობის არსი.

არაფიზიკურად ფრენკაში რამდენიმე სხვადასხვა ხარისხის უბედურებაა: არის აბსტრაქტული ხელოვნება, რომელიც მუდამ სავალალო შთაბეჭდილებას ახდენს; კიდევ უფრო სევდიანად გამოიყურება თერთონ მხატვარი-აბსტრაქციონისტი; აბსტრაქტული ხელოვნების მოყვარულს როგორღაც უტყუარი ამქვეყნიური მჭმუნვარების სუნი უდის; მაგრამ არის კიდევ უფრო შავბედი და ვაგლახი საქმიანობა – აბსტრაქტული ხელოვნების კრიტიკოსობა და ექსპერტობა.

ადამიანი შემოქმედების პროცესებს უნდა აზიაროს, უნდა მისცეს საზოგადოებრივი და კოსმოსური ცხოვრების საკვები – ასეთია მხატვრის როლი, და აღორძინების ხანის იტალიელ თავადთა ყოველის უფრო მნიშვნელოვანი დამსახურება ის არის, რომ ესმოდათ ეს აშკარა ჭეშმარიტება და თავიანთ ბედნიერდღეთა აღნიშვნის მოგვარებას ვინჩის ან ბრუნელესკის ანდობდნენ.

მი უცილობლად უნდა მეპოვა ფრენკაში ეს „მოქმედების კვანტი“, ამჟამად მატერიის მიკროფიზიკურ სტრუქტურებს რომ მართავს, და ამის პოვნა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ საშველად მოვეხმობოდი ჩემს პროვოცირების უნარს – მე ხომ, როგორც ცნობილია, სწორუპოვარი პროვოკატორი, წამქეზებელი ვარ...

(გაბრაძილა იძნება)





# პოლიტიკოსები, როგორც ჩვენს სტერეოტიპებს ამსხვავებენ

**ინტენი ზოგიერთი მათი კოლეგისთვის არატიპურ ცხოვრებას მისდევენ: არ ყიდულობენ ასობით ათასი ევროს ღირებულების საათებს, არ აწყობენ უხერხულად ძვირადღირებულ ბანკეტებს, არ იძენენ სასახლებს. ეს ხელმძღვანელი პირები აცნობიერებენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მენეჯერები არიან, რომელიც ხალხმა დაიქირავა, და არა ცხოვრების მეპატრონეები. ქვემოთ გთავაზობთ მერების, პრემიერ-მინისტრებისა და პრეზიდენტების მცირე ჩამონათვალს, რომელთა ცხოვრების წესი ბევრი ჩვენი პოლიტიკოსისა და სხვა ცნობილი მოღვაწისთვის მისაბამად მიგვაჩნია.**




**თარია პალმანი, ფინეთი**  
ფინეთის ექსპრეზიდენტი ტარია პალმანი სრულიად ჩვეულებრივად ცხოვრობდა, ინტერნეტში კი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც ავიარების ნიუ-იორკი ჰელსინკის მგზავრებმა მისი ფოტო გამოაქვეყნეს. აშშ-ში ვიზიტის შემდეგ პალმანი შინ ეკონომიკლის რეისით, რიგით მგზავრად ბრუნდებოდა და ისე იქცეოდა, როგორც მგზავრების განაპირობებულ ვერაფრით განასხვავებდა.

„აფრენამდე 5 წუთით ადრე ბორტზე 7-კაციანი დელეგაცია ამოვიდა. დელეგაციის წევრი ერთ-ერთი ქალბატონი ჩემგან ერთი რიგის გამოტოვებით დაჯდა, ფრენის განმავლობაში ბორტგამცველების მიერ შეთავაზებული იგივე საკვები მიირთვა, რაც ყველა დანარჩენმა, საერთო საპირფარეოთიც ისარგებლა და საერთოდ არაფრით მიუქცევია ყურადღება. გავოცდი, როდესაც შემთხვევით შევითვალ, რომ ეს ტარია პალმანი იყო. უნდა გენახათ, როგორ ამოვბრუნდნენ მისი ფინელი მგზავრები“, – წერდა სოციალურ ქსელში მომხმარებელი ტარია პალმანი.

აღსანიშნავია, რომ პალმანის სამშობლოში ხშირად ხედავენ ჩვეულებრივ სასურსათო მაღაზიებში, ასევე ტანსაცმლის სალონებში, სადაც ის ჩამოფასებული საქონლის კალათებში იქექება.

### დევიდ ქემერონი, ბრიტანეთი



დევიდ ქემერონის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა (2010-2016) დევიდ ქემერონმა კი, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ იკავებდა დიდი ბრიტანეთის პრემიერის თანამდებობას, ერთ-ერთი „ლოუ-ქოსტერის“ (ავიაკომპანია, დაბალი სამგზავრო ტარიფებით) მგზავრები გაახარა: 16 წლის მგზავრმა გოგონამ ცნობილი პოლიტიკოსის ფონზე „სელფი“ გადაიღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დევიდ ქემერონის პერიოდში პორტუგალიაში მიფრინავდა, სადაც იმხანად მისი მეუღლე და შვილები ისვენებდნენ.

„პრემიერისგან სულ სამი სავარძელი მაშორებდა. ჩვეულებრივი ადგილი ჰქონდა ადგილი, მაღალი კომფორტულობის სავარძლითაც კი არ უსარგებლია, რომელსაც ფენის გასაშლელად აქვს სივრცე. მთელი რეისის განმავლობაში წინააღიწი „ჩიფსებს“ მიირთმევდა“, – დანერა სოციალურ ქსელში გოგონამ.

ზოგადად, დევიდ ქემერონს უკვე არაერთხელ გაუკვირებია გარემომცვენი კეთილდღეობისადმი მართივი მიდგომა. ასე მოხდა, მაგალითად, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის პრემიერი მეუღლესთან ერთად დასვენების დღეების გასატარებლად ისლანდიაში ეკონომიკლასით გაემგზავრა. სამსახურში კი იგი მუდმივად ველოსიპედით დადიოდა.

### სოსე მუსიკა, ურუგვაი



ურუგვაის წინა პრეზიდენტმა სოსე მუსიკამ თავისი ასკეტიზმით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. გახდა რა სახელმწიფოს ლიდერი, მან საპრეზიდენტო სასახლეში შესვლაზე უარი განაცხადა და ფუფუნებას ფერმერული სახლი ამჯობინა.

შემოსავლების უდიდეს ნაწილს სოციალურ პროექტებს სწირავდა. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ეკონომიკლასით დაფრინავდა, ხოლო თუ საავტომობილო გზით გადაადგილება იყო საჭირო, გადაადგილდებოდა ძველი Volkswagen Beetle-ით. მუსიკა აცხადებდა, რომ ადამიანებს, რომლებიც მას უპოვარად თვლიდნენ, არასწორად ესმოდათ სიმდიდრის არსი:

„მე არ ვარ ყველაზე ღარიბი პრეზიდენტი. ყველაზე ღარიბი ის არის, ვისაც ცხოვრებისთვის მეტისმეტად ბევრი სჭირდება. ჩემი ცხოვრების წილი – ეს ჩემი იარაღის შედეგია. მე ჩემი ქვეყნის ისტორიის შვილი ვარ. ადრე ყველაზე ბედნიერად ამიანად გტარობდი თავს იმის გამო, რომ ლეიბი გამაჩნდა“.

სოსე „მუსიკა“ მუსიკას პრეზიდენტის თანამდებობა წლის განმავლობაში ეკავა. ამ ხნის განმავლობაში მან მოახერხა, სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა გადაექცია სახელმწიფოდ, რომელიც ენერგომატარებლების ექსპორტს ახორციელებდა, აენია ეკონომიკა, შეემცირებინა სახელმწიფო ვალი და შეეჩერებინა სიღარიბის ზრდა. ლათინური ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე პროგრესულმა ლიდერმა სოსე მუსიკამ მარისხუანის, აბორტების, ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება მოახდინა, ასევე თანხმობა განაცხადა, მის ქვეყანას გუანტანამოს ციხის ყოფილი პატიმრები მიეღო.


### ბორის ჯონსონი, დიდი ბრიტანეთი



ბორის ჯონსონი მეგაპოლისის მასშტაბით ყოველთვის ველოსიპედით გადაადგილდებოდა. იგი პალსტუს იშვიათად იკეთებს, ძალიან უყვარს სპორტული ქურთუკი, ზურგჩანთა და ჩაფხუტი ველოსიპედით გადაადგილების უსაფრთხოებისთვის. მისტერ ჯონსონი ერთობ მოუქნელად გამოიყურება, თითქმის ყოველთვის აბურძგნული თმით დადის, რომელიც საოცრად ღია ფერისაა, აქვს ძალიან ბოხი ხმა და ცნობილია პროვოკაციული გამოხატვებით.

„ამას წინათ ისე გადავწყვიტე ბორის ჯონსონს. ვდგავარ შუქნიშანზე და უცებ გვერდზე ველოსიპედით სახალისო გარეგნობის მამაკაცი მომიდგა ლაჟღაჟო სალაითისფერი ჩაფხუტით. ირგვლივ ჩვენს მეტი არავინ იყო. რა დაცვა, რაში სჭირდება მას დაცვა?! ვინ ესხმის თავს, საკუთარი მოქალაქეები? სახლში ბრუნდებოდა სამსახურიდან. ბევრი ფიქრობს, რომ ბორისის მიერ ველოსიპედზე გადაადგილებული ფოტოები ცარიელი პიარია, მაგრამ ის ყოველთვის ველოსიპედით გადაადგილდებოდა – თანამდებობამდეც. მაშინ ცნობილი ჟურნალისტი იყო, მაგრამ მერად არჩევის შემდეგაც ვერ უღალატა ჩვევებს. ეს პირადად შემიძლია დაგიდასტუროთ“, – წერს სოციალური ქსელის ბრიტანელი მომხმარებელი.


### მაიკლ ბლუმბერგი, აშშ



ამ პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა, რომლის ქონება, სხვადასხვა მონაცემებით – 16-20 მილიარდ დოლარად ფასდება, ნიუ-იორკელების სიყვარულს არა მხოლოდ იმით მოიპოვა, რომ ბოლო წლებში ქველმოქმედებისთვის რეგულარულად სწირავდა წელიწადში 250 მილიონ დოლარს, არამედ თავისი გასაოცარი თავმდაბლობითაც. წარმოიდგინეთ, აშშ-ის საქმიანი დედაქალაქის – ნიუ-იორკის მერი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი სამსახურში მეტროთი გადაადგილდება. მან

უარი თქვა მუნიციპალურ საცხოვრისზე და მანჰეტენზე საკუთარ ბინაში დარჩა, ნიუ-იორკის საქალაქო საბჭოში კი თავად ბლუმბერგის წინადადების საფუძველზე მას წლიურ ხელფასად 1 დოლარი განუსაზღვრა. გარდა ამისა, ის ნიუ-იორკის პირველი მერია, ვინც შესაბამის საქალაქო სამსახურს ნება დართო, მისი სახლის მისამართი სატელეფონო ცნობარში გამოექვეყნებინა.

### პეტრა ნიჩასი, ჩეხეთი




პრემიერის თანამდებობაზე არჩევისას პეტრა ნიჩასის პირველი გადაწყვეტილება სახელმწიფო დაცვასა და სამსახურებრივ მანქანა Audi-ზე უარის თქმა იყო. ახალმა პრემიერმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ თავდასხმების არ ეშინოდა. სამსახურში ხშირად ფეხით მიდიოდა, ხოლო საქმიან ვიზიტებზე, – კუთვნილი ჩეხური ავტომობილით.

### ენდა კელი, ირლანდია



ირლანდიის ექსპრემიერი (2011-2017) ენდა კენი ლოუსტრ-ავიაკომპანიების მომსახურებით ხშირად სარგებლობს და განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება მიზნუნონილად მიაჩნია იმ პირობებში, როდესაც მისი ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საკრედიტო დახმარებას იღებს. ადგილობრივ მედიას არაერთხელ გაუმახვილდა ყურადღება იმაზე, რომ კენი სამსახურში მუდმივად ფეხით დადიოდა და ამ პროცესში ძალიან უყვარდა ურთიერთობა შემთხვევით გამვლელთან.

### ანგელა მერკელი, გერმანია



ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სრულიად ჩვეულებრივ ბინაში ცხოვრობს, რომლის მისამართი გერმანიის ნებისმიერი მოქალაქისთვის არის ხელმისაწვდომი: 10117 Berlin, Am Kupfergraben. ბინა საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე მდებარეობს.

შეგებულებას ანგელა მერკელი, როგორც წესი, ტიროლის მხარის მთებში ატარებს და საფასურს საკუთარი შემოსავლიდან იხდის. ასევე თავისი ხარჯით ყიდულობს ტანსაცმელს. პერიოდულად ჩადის აგარაკზე, სრულიად ჩვეულებრივ სახლში ბერლინის მახლობლად.

მართალია, მერკელს 24 საათის განმავლობაში ემსახურება სამსახურებრივი ავტომობილი მძღოლითურთ, თუმცა გერმანიის სხვადასხვა მხარეების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, მისი ავტომობილი არ არის აღჭურვილი ჯავშნის საფარით და არც ლიმიტინია. მერკელმა არჩევანი audi A-8-ზე შეაჩერა. არა აქვს არც სასახლეები, არც იახტები და ფუფუნების სხვა ნიშნები.

### რაიმონდ ვიონისი, ლატვია



ლატვიის პრეზიდენტი ძალზე თავმდაბალ ადამიანად არის ცნობილი. ვიონისი კვლავინდებურად ჩვეულებრივ მაღალსართულიან კორპუსში ცხოვრობს, რიგის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ოგრეში. ადგილობრივი მაცხოვრებლები მას კარგ მუზობლად ახასიათებენ: არ ხმაურობს და საყოფაცხოვრებო საქმეებში გვეხმარებაო. როგორც ირკვევა, პრეზიდენტს საცხოვრებელი კორპუსის ეზოში შაბათობების მოწყობა უყვარს და ხეებსაც რგავს.



ბოლო წლების განმავლობაში კანონებს, კანონებზედ-ბარე აქტებს, სხვადასხვა კომპეტენტური უწყების არანაკლებ კომპეტენტურ დადგენილებებსა და კიდევ ბევრ საკმაოდ სოლიდურ აქტს ყურადღებით თუ წავიკითხავთ, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ ყველას თუ არა, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა მათგან ერთი რამ, კერძოდ „გამჭვირვალობის“ ცნება აერთიანებს. ასეა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, არადა, ყველასთვის ისედაც ცხადია, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამ „გამჭვირვალე შუშის სახლში“ გამუდმებით გარკვეულ ძალთა მანიპულირების საგნად რჩება – ხელისუფლება იქნება ეს, მასმედია, რეკლამა თუ სხვა.

მაინცდამაინც დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, რომ, რაც მეტი დრო გადის, ადამიანთა უმეტესობა არა საკუთარი არჩევანის, არამედ გარეშე ფაქტორთა უძლიერესი წინააღმდეგობით ცხოვრობს. თანაც, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ემსგავსება ჩვენი ცხოვრება ჩარლი ჩაპლინის ცნობილი ფილმის კონკურსს, სადაც ყველამ გარკვეული ფუნქცია თუ ოპერაცია უნდა შეასრულოს, ერთი აცდენის შედეგად კი კაცი მექანიკური ურჩხულის მარნუხებში ექცევა, საიდანაც თავის დაღწევა ძალზე რთულია.

არადა, საქმე არა მარტო გაქვნილ პოლიტიკოსთა „მზაკვრული“ გეგმების განხორციელებაშია, რომლებიც ქვეყანაზე გამუდმებულ ბატონობაზე ოცნებობენ, ყველაფერი გაცილებით რთულად არის. კერძოდ, ფსიქოფიზიოლოგიებმა დაადგინეს, რომ ადამიანის თავის ტვინი, რომელზეც სხეულის მთელი მასის დაახლოებით 7 პროცენტი მოდის, ენერჯის თითქმის მეოთხედს(!), უფრო სწორად, 20-23 პროცენტს მოიხმარს, სტრესებისა და დაძაბულობის დროს კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა, 27 პროცენტამდეც კი ავიდეს! აქედან შეიძლება, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ, ერთი მხრივ, ჩვენი ცონება – ესაა უდიდესი უპირატესობა, რომელიც სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით გაგვაჩნია, მეორე მხრივ კი გამოდის, რომ ფიქრი, ზოგადად გონივრული აზროვნება, ენერგეტიკულად მებრძო ხარჯიანია. ამიტომაცაა, რომ უამრავ რამეს, რომ იტყვიან „მექანიკურად“, გონების დაუძაბავად ვაკეთებთ. სპეციალისტთა აზრით, ამ მხრივ ჩვენ თან დაპროგრამებულნიც ვართ და, ამავდროულად, არჩევანის გაკეთებაში თავისუფალნიც, თუმცა როგორც მეცნიერები გვიჩვენებენ, ბოლო წლებში ბალანსი უფრო დაპროგრამებისკენაა ძლიერ გადახრილი.

საქართველოში ამჟამად, მოგეხსენებათ, მეტად ცხელი პოლიტიკური ბატონობის იმარტება უკლებლივ ყველა დონეზე – პარლამენტის სხდომებზე, ოფიციალურ ფორუმებსა თუ შედარებით არაფორმალურ შეხვედრებზე, სხვადასხვა დონის დაცინვით მოხსენიებულ ოდიოზურ ნამყვანთა სახელებით მონათლული „ტელევიზიები“ და სხვა, ასევე სოციალურ ქსელებსა და ბეჭდურ მედიაშიც კი. ყველანი გაფაციცებულნი 28 ოქტომბრის მოლოდინში ვართ, რომელიც ერთგვარ საჯილდო ქვადაა ქვეყნის სახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალებს შორის – მნიშვნელობა არა აქვს, მას „გაერთიანებულად“ მონათლავენ თუ განცალკევებულად განიხილავენ. მთავარია, როგორი იქნება ხალხის არჩევანი და, გნებავთ, ავტიტაკად მიიღეთ ეს პოსტულატი, გნებავთ, ისევე პროფესიულ ფსიქოფიზიოლოგებს მიეხედეთ, მაგრამ ისინი ირმუხებიან, რომ როცა ადამიანთა დიდი მასები არჩევანის წინაშე დგებიან – ღრმად ჩაუფიქრდნენ მიმდინარე მოვლენებს თუ ისე მოიქცნენ, როგორც სწევითა, უმეტესობა მეორე ვარიანტს აირჩევს, ანდა გარკვეულ კარნახს აბყვება. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ასეთი არჩევანი ენერგეტიკულად მომგებიანია. შესაბამისად გამოდის, რომ მთელი სოციალური ინჟინერინგის, ასე ვთქვათ „რბილი ვარიანტი“ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ბედნიერი ნორჩი ბავშვობის ხანას უზრუნველნიან. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, თუ რას ემსახურება მავანთა მხრივ ხელისუფლების გაუთავებელი ძაგება, წარმოუდგენელი დაპირებები ლამის გაორმაგებული პენსიებისა და, საერთოდ, „რძის მდინარეების“ თაობაზე – ეს ხალხი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ობივაციული გარკვეული, მათთვის სასურველი არჩევანისკენ მიმართონ, მერე კი, როგორც იტყვიან, „გაზაფხულზე იონჯაც ამოვა“...

### ქართული კომპანიების სთამაშოები სტამბოლის გაოფენაზე

**სამხრეთის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, თურქეთში, ქალაქ სტამბოლში გამართულ სათამაშოების საერთაშორისო გამოფენაზე – „Kids Turkey 2018“ 7 ქართული კომპანია, კერძოდ: შპს „თამაშობანა“, შპს „კოდალა“, შპს „ჩიკატი“, შპს „საგო“, შპს „Antsi“, შპს „შინი მწვანე სათამაშო“ და შპს „მწვერვალი“ იღებენ მონაწილეობას.**

ლონისძიებაზე ქართული კომპანიების მხრიდან წარმოდგენილია, როგორც ხის ხელნაკეთი ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები, ასევე, შემეცნებითი თამაშები ბავშვებისთვის და ოთახის დეკორაციები. მნიშვნელოვანია, რომ სათამაშოების წარმოების კუთხით აღნიშნული ღონისძიება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია, რომელშიც 132-ზე მეტი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს მსოფლიოს 44 ქვეყნიდან. ვიზიტორების რაოდენობა კი ყოველწლიურად დაახლოებით 10 000-ს შეადგენს.

შპს „კოდალა“, შპს „ჩიკატი“, შპს „საგო“, შპს „Antsi“, შპს „შინი მწვანე სათამაშო“ და შპს „მწვერვალი“ იღებენ მონაწილეობას.

ლონისძიებაზე ქართული კომპანიების მხრიდან წარმოდგენილია, როგორც ხის ხელნაკეთი ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები, ასევე, შემეცნებითი თამაშები ბავშვებისთვის და ოთახის დეკორაციები. მნიშვნელოვანია, რომ სათამაშოების წარმოების კუთხით აღნიშნული ღონისძიება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია, რომელშიც 132-ზე მეტი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს მსოფლიოს 44 ქვეყნიდან. ვიზიტორების რაოდენობა კი ყოველწლიურად დაახლოებით 10 000-ს შეადგენს.



# ჯაშუშებით საპსა „შუშის სახლი“

რაც შეეხება ხალხის მასების მართვის კრეატიულ ტექნოლოგიებსა და მათი მუშაობის პრინციპებს, ისინი, შეიძლება ითქვას, ადამიანთა ცივილიზაციის თანატოლია. თუმცა კი, ისინიც და თავად „მმართველებიც“, კაცობრიობასთან ერთად ევოლუციონერობენ. მაგალითად, ამჟამად ჩინეთში მუშაობენ ე.წ. „დიდი ძმა 2.0“-ის შექმნაზე, რომლის დროს მთელი საზოგადოება ერთი ცენტრიდან უნდა იყოს მართული. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მულტიცენტრული სისტემა აირჩიეს, სადაც ასეთი ცენტრი მრავლადაა – ესენია სახელმწიფო სტრუქტურები და დიდი კორპორაციები, რომლებსაც უამრავ ადამიანზე მონაცემები გააჩნიათ, ასევე არსებობენ მონაცემთა სპეციალური ბროკერები, რომელთაგან, ვთქვათ, უმსხვილესს Axiom-ს ამჟამად მილიარდზე მეტი ადამიანის შესახებ მონაცემები გააჩნია.

**თავად მართვის ტექნოლოგიები კი სამყაროსავით ხანდაზმულია: გარკვეული თვალსაზრისით ნებისმიერი იდეოლოგია, ესაა გონების დამუშავების ტექნოლოგიების ერთგვარი კრებუნი.** სახლვე კი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დღესდღეობით დამუშავების კონკრეტული ობიექტის შესახებ დამუშავებულმა თითქმის ყველაფერი იცის: ამის თვალნათელი მაგალითი თუნდაც ისაა, რომ, როცა ადამიანები ყოველდღიურად სოციალური ქსელებით სარგებლობენ, ისინი რეალურ დროში საკუთარ თავზე დოსიეს ადგენენ. სმარტფონები კი, უბრალოდ, დაუფარავი ჯაშუშებიან, რომლებიც პატრონის ყოველ ნაბიჯს აღწეხსავენ. ბოლო სადაზვერვო სისტემა კი სულაც ინტერნეტი გახდა. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია, ისიც გაითვალისწინოთ, რომ ვინც გონების დამუშავებას კომერციული ან პოლიტიკური მიზნებით ახორციელებს, კონკრეტული პიროვნებები სულაც არ ინტერესებთ – მათი ინტერესის სფეროს მსგავსი მანასიათვლების მქონე ადამიანთა ჯგუფები წარმოადგენენ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიები, პირველ ყოვლისა, გენური ინჟინერია და სინთეტიკური ბიოლოგია, უმთავრესად ემსახურებიან მსოფლიო ელიტას. ამის რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰოლანდიაში, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, არსებობენ ინდივიდუალური მემოცინის კლინიკები. იქ თითოეული პაციენტისთვის არა მარტო ინდივიდუალურად არჩევენ გარკვეულ პრეპარატებს, ანდა ადგენენ მათ დოზირებას, არამედ საგანგებოდ ქმნიან მისი ორგანიზმისთვის საჭირო ნამლებს, რომლებიც სხეულისთვის ან არაფექტიანია, ანდა სულაც არანაირი სარგებლის მომტანი არ არის.

მაგალითებისთვის რამდენიმე საპატენტო ცნობილი პიროვნების პინაშის დასახელებაზე შეიძლება. კერძოდ, დევიდ რიჟილი, რომელიც 102 წლის ასაკში გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლო დღეებში არა მარტო აქტიურად მონაწილეობდა შეხვედრებსა და მათგან უკვე მოკლე...

